ს ს ი პ ბ ა თ უ მ ი ს შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს
ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი

27 ნოემბერი, 2025 წ.

ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო ს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/152

პროფესორ შალვა კირთაძისათვის
ბსუ-ს საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ელი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის მე–4 პუნქტის, წესდების 62–ე მუხლის, ,,შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების დებულების“ (აკადემიური საბჭოს ოქმი N18, 17.04.2007 წ.), ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერისა (№23-05/13, 21.11.2025) და ამავე ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის (MES 2 25 0001658316, 21.11.2025) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, მათემატიკის დოქტორს, პროფესორ **შალვა კირთაძეს მიენიჭოს ბსუ-ს საპატიო დოქტორის წოდება.**
2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. დადგენილება დაეგზავნოს პროფესორ შალვა კირთაძეს, ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, რექტორის აპარატს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.
4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არუშიძე**